“The Young Pope”: Deconstruction of Postmodern Faith and Authority in Visual Culture

„ახალგაზრდა პაპი“: პოსტმოდერნული რწმენისა და ავტორიტეტის დეკონსტრუქცია ვიზუალურ კულტურაში

Nino Gelovani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant
+995 599561093; nino.gelovani@tsu.ge
ORCID: 0000-0002-9211-9783

Abstract. Postmodernism is one of the key cultural paradigms of the second half of the twentieth century, which questions universal truths, stable identities and traditional forms of authority. These processes are particularly evident in contemporary audiovisual culture, where religious symbolism and institutional power are subject to reinterpretation. The aim of this study is to analyze Paolo Sorrentino’s series The Young Pope (2016) through the lens of postmodern narrative and religious symbolism.

The research is based on a qualitative methodology and employs hermeneutic, interpretative and semiotic approaches. In the series, the figure of the Pope is represented as a multilayered and contradictory model of religious authority that transcends traditional ecclesiastical representation.

The findings indicate that the series deconstructs the univocal symbolic system of the Catholic Church and constructs a hybrid model in which power, faith and identity function in an interrelated manner. Visual compositions, Vatican architecture, lighting contrasts and ritualized aestheticization construct a hybrid visual-symbolic space of the sacred and the secular. Lenny Belardo is constructed as a postmodern subject whose identity is in a constant state of destabilization.

In conclusion, the series may be regarded as a contemporary audiovisual text that reconceptualizes forms of religious authority and faith within a postmodern cultural context, highlighting the postmodern transformation of religious symbolism.

Keywords: Postmodernism; Religious Symbolism; The Young Pope; Paolo Sorrentino; Visual Culture; Identity; Narrative; Deconstruction.

ნინო გელოვანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტი
+995 599561093; nino.gelovani@tsu.ge
ORCID: 0000-0002-9211-9783

აბსტრაქტი. პოსტმოდერნიზმი XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული პარადიგმაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს უნივერსალურ ჭეშმარიტებებს, სტაბილურ იდენტობებსა და ტრადიციულ ავტორიტეტის ფორმებს. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება თანამედროვე აუდიოვიზუალურ კულტურაში, სადაც რელიგიური სიმბოლიკა და ინსტიტუციური ძალაუფლება ხელახალ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. კვლევის მიზანია პაოლო სორენტინოს სერიალის „ახალგაზრდა პაპი“ (2016) გაანალიზება პოსტმოდერნული ნარატივისა და რელიგიური სიმბოლიზმის პერსპექტივიდან.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას და იყენებს ჰერმენევტიკულ, ინტერპრეტაციულ და სემიოტიკურ ანალიზს. სერიალში პაპის ფიგურა წარმოჩნდება როგორც მრავალშრიანი და წინააღმდეგობრივი რელიგიური ავტორიტეტის მოდელი, რომელიც სცდება ტრადიციულ ეკლესიურ რეპრეზენტაციას.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სერიალი არღვევს კათოლიკური ეკლესიის სიმბოლური სისტემის ერთმნიშვნელოვნებას და ქმნის ჰიბრიდულ მოდელს, სადაც ძალაუფლება, რწმენა და იდენტობა ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს.

ვიზუალური კომპოზიციები, ვატიკანის არქიტექტურა, განათების კონტრასტი და რიტუალური ესთეტიზაცია აყალიბებს საკრალურისა და სეკულარულის ჰიბრიდულ ვიზუალურ-სიმბოლურ სივრცეს. ლენი ბელარდო კი კონსტრუირდება როგორც პოსტმოდერნული სუბიექტი, რომლის იდენტობა მუდმივი დესტაბილიზაციის პროცესშია.

დასკვნის სახით, სერიალი შეიძლება განვიხილოთ როგორც თანამედროვე აუდიოვიზუალური ტექსტი,რომელიც რელიგიური ავტორიტეტისა და რწმენის ფორმების რეკონცეპტუალიზაციას ახდენს პოსტმოდერნული კულტურის კონტექსტში.რაც ხაზს უსვამს რელიგიური სიმბოლიკის პოსტმოდერნულ ტრანსფორმაციას

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი; რელიგიური სიმბოლიზმი; პაოლო სორენტინო; ახალგაზრდა პაპი; ვიზუალური კულტურა; იდენტობა; ნარატივი; დეკონსტრუქცია.

შესავალი. კათოლიკური ეკლესიის ინსტიტუციური და თეოლოგიური ფორმირების გააზრება დაკავშირებულია ისტორიულ პროცესებთან, რომლებმაც ქრისტიანული სამყაროს ერთიანობა დაარღვია და განსხვავებული ეკლესიოლოგიური

მოდელები ჩამოაყალიბა. დასავლურ ქრისტიანობაში რომის ეპისკოპოსის (პაპის) ინსტიტუტი ეტაპობრივად ჩამოყალიბდა უმაღლესი ეკლესიური ავტორიტეტის ცენტრად, რომლის თეოლოგიური საფუძველი უკავშირდება იურისდიქციული პრიმატის დოქტრინას (Meyendorff, 1983: 215).

თანამედროვე კულტურულ-თეორიული დისკურსი აღნიშნავს, რომ XX-XXI საუკუნეებში ავტორიტეტის, იდენტობისა და ჭეშმარიტების სტაბილურობის იდეები მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა. პოსტმოდერნული პარადიგმა ეჭვქვეშ აყენებს უნივერსალურ ნარატივებსა და ინსტიტუციურ ძალაუფლებას, რის შედეგადაც რელიგიური სიმბოლიკა და ავტორიტეტი ახალ ინტერპრეტაციულ სივრცეში ექცევა. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვიზუალური მედია, სადაც მნიშვნელობები კონსტრუირდება მრავალშრიანი და არასტაბილური ფორმებით. ამ თეორიულ ჩარჩოში განიხილება პაოლო სორენტინოს სერიალი „ახალგაზრდა პაპი“ (2016), რომელიც პაპის ფიგურის არატრადიციულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. სერიალის მთავარი პერსონაჟი, ლენი ბელარდო (პიუს XIII), წარმოდგენილია როგორც წინააღმდეგობრივი სუბიექტი, რომელიც აერთიანებს ავტორიტეტსა და მოწყვლადობას, რწმენასა და ეჭვს.

სორენტინო კინემატოგრაფიული ხერხებით პაპის ინსტიტუტს წარმოადგენს არა როგორც ერთმნიშვნელოვან ძალაუფლებრივ სტრუქტურას, არამედ როგორც შინაგანი კონფლიქტების, ტრავმისა და სულიერი ძიების სივრცეს. სერიალის ვიზუალური ენა ეფუძნება კომპოზიციის, განათების, სივრცისა და სიჩუმის სისტემურ გამოყენებას, რის შედეგადაც კონსტრუირდება საკრალურისა და სეკულარულის ჰიბრიდული ვიზუალური სივრცე.

წინამდებარე კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, სერიალი ახდენს კათოლიკური ეკლესიის ტრადიციული ავტორიტეტისა და რელიგიური სიმბოლური სისტემის დეკონსტრუქციას, რის შედეგადაც პაპის ფიგურა ყალიბდება როგორც პოსტმოდერნული, მრავალშრიანი და დესტაბილიზებული იდენტობის მქონე სუბიექტი.

მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებულია ინტერდისციპლინარული კვლევის მიდგომა, რომელიც აერთიანებს ისტორიულ ანალიზს, დისკურსულ ანალიზს და კულტურულ კრიტიკას პოსტმოდერნული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში. აღნიშნული მეთოდოლოგიური კომბინაცია საშუალებას იძლევა სერიალ „ახალგაზრდა პაპში“ წარმოდგენილი რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობები განიხილოს როგორც მრავალშრიანი სემიოტიკური სისტემა.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ (qualitative) მეთოდოლოგიას და მოიცავს ნარატიული სტრუქტურის, თეოლოგიური დისკურსისა და პოსტმოდერნული სუბიექტის ფორმირების ანალიზს. ტექსტუალური და ვიზუალური მასალა განიხილება როგორც ინტერპრეტაციისთვის ღია კულტურული კონსტრუქციები, რომელთა მნიშვნელობა ყალიბდება კონტექსტურად.

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, სერიალი ახდენს კათოლიკური ეკლესიის ტრადიციული ავტორიტეტისა და რელიგიური სიმბოლური სისტემის დეკონსტრუქციას, რის შედეგადაც პაპის ფიგურა კონსტრუირდება როგორც მრავალშრიანი და წინააღმდეგობრივი პოსტმოდერნული სუბიექტი.

ანალიზის პროცესში გამოყენებულია ჰერმენევტიკული, სემიოტიკური და ვიზუალური მეთოდები. ამ მეთოდოლოგიური ჩარჩოს საფუძველზე შესაძლებელია იმპლიციტური ნარატივების იდენტიფიკაცია და იმის გაანალიზება, თუ როგორ კონსტრუირდება რელიგიური, პოლიტიკური და პიროვნული მნიშვნელობები თანამედროვე აუდიოვიზუალურ კულტურაში.

შედეგები.

1. რელიგიური ავტორიტეტის დეკონსტრუქცია

ანალიზმა აჩვენა, რომ სერიალი მიზანმიმართულად არღვევს პაპის ტრადიციულ, სტაბილურ და ერთმნიშვნელოვან ავტორიტეტის მოდელს. პაპის ფიგურა წარმოდგენილია როგორც ცვალებადი, შინაგანად კონფლიქტური და ეჭვებით დატვირთული სუბიექტი, რაც ეწინააღმდეგება კლასიკურ დოგმატურ რეპრეზენტაციას.

2. რელიგიური სიმბოლოების მნიშვნელობის ტრანსფორმაცია

კვლევამ გამოავლინა, რომ რელიგიური სიმბოლოები (რიტუალები, სივრცე, ჩაცმულობა, ლიტურგიული პრაქტიკები) სერიალში კარგავს ერთმნიშვნელოვან საკრალურ მნიშვნელობას და იძენს მრავალშრიან, ხშირად ირონიულ ან ალუზიურ ხასიათს. ეს მიუთითებს სიმბოლოთა დეკონსტრუქციულ გამოყენებაზე.

3. იდენტობის ფრაგმენტაცია

პაპის პერსონაჟის ანალიზმა აჩვენა იდენტობის არასტაბილურობა. ლენი ბელარდო წარმოდგენილია როგორც სუბიექტი, რომელიც მუდმივად მერყეობს რწმენასა და ეჭვს, ავტორიტეტსა და დაუცველობას შორის. ეს ასახავს პოსტმოდერნულ იდენტობის მოდელს, რომელიც არ არის ერთიანი და დასრულებული.

4. ვიზუალური ნარატივის ფუნქცია

ვიზუალური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კადრირება, განათება და კომპოზიცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მნიშვნელობის შექმნაში. ვიზუალური სტრუქტურები ხშირად აძლიერებს სიჩუმის, მისტიკისა და სიმბოლური გაურკვევლობის ეფექტს, რაც ქმნის ღია ინტერპრეტაციულ სივრცეს.

შეჯამება: მიღებული შედეგები ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას: სერიალი „ახალგაზრდა პაპი“ ახდენს ტრადიციული რელიგიური ავტორიტეტისა და სიმბოლური სისტემების დეკონსტრუქციას და ქმნის პაპის ფიგურის პოსტმოდერნულ, მრავალშრიან და წინააღმდეგობრივ განსახიერებას.

მსჯელობა. სერიალი კონსტრუირებს პოსტმოდერნულ თეოლოგიურ დისკურსს, რომელშიც რწმენა აღარ განიმარტება როგორც სტაბილური დოგმა, არამედ როგორც შინაგანი ძიების, ეჭვის, ტრავმისა და ესთეტიკური სიმარტოვის გამოცდილებითი სივრცე. ვიზუალური სტრუქტურა ფერწერული კომპოზიციები, სიჩუმის დრამატურგია და სიმბოლური სიუჟეტები არღვევს კლასიკური ნარატიული ლოგიკის ხაზოვანობას და ქმნის ღვთაებრივის ამოცნობადობის ალტერნატიულ მოდელს. ამ მოდელში რწმენა გარდაიქმნება ინტიმურ, გამოცდილებაზე დაფუძნებულ ფორმად, რომელიც აღარ ექვემდებარება თეოლოგიურ ან რიტუალურ ენას და მხოლოდ ვიზუალური აღქმის, სხეულებრივი განცდისა და ემოციური რეზონანსის მეშვეობით ვლინდება. სერიალის ვიზუალური სტრუქტურა ფერწერული კომპოზიციებით, სიჩუმის დრამატურგიითა და

სიმბოლური სიუჟეტებით არღვევს ნარატიული ხაზის ლოგიკას და ქმნის ღვთაებრივის ამოცნობადობის ახალ მოდელს: რწმენა გარდაიქმნება შინაგანი გამოცდილების ფორმად, რომელსაც ვეღარ ვწვდებით რიტუალური ან თეოლოგიური ენით, არამედ მხოლოდ ვიზუალური ინტუიციით, სხეულებრივი განცდითა და ემოციური რეზონანსით. ეს კინემატოგრაფიული ინტერპრეტაცია ჰერმენევტიკულ საფუძველზე მიგვითითებს, ყოველი რელიგიური ტექსტი - იქნება ის დოგმა, ისტორია თუ ბიბლიური ალუზია, მუდმივად აღსასრულებელი, ცვალებადი და მრავალმნიშვნელოვანი მატრიცაა, რომლის ახალი წაკითხვა ქმნის განსხვავებულ თეოლოგიურ ნარატივს. შედეგად, „ახალგაზრდა პაპი“ გვთავაზობს რელიგიისა და რწმენის ახალ თეორიულ კონსტრუქციას, რომელიც თანაბრად ეფუძნება ისტორიულ მეხსიერებასა და პოსტმოდერნული ადამიანის ფსიქო-ემოციურ რეალობას.

სერიალის ვიზუალური თხრობა ცვლილებებს წარმოაჩენს როგორც დროის კონკრეტულ მონაკვეთში მიმდინარე მერყევი და მრავალშრიანი პროცესების სინთეზს. თითოეული კადრი და ნარატიული ელემენტი ფუნქციონირებს როგორც ტრანსცენდენტული მნიშვნელობის კონსტრუქციის ერთეული.

კანტის მოსაზრება ადამიანის უნიკალურობის შესახებ (Kant, 2006: 3) რელევანტურ ჩარჩოს ქმნის ლენი ბელარდოს ფიგურის ინტერპრეტაციისთვის. მისი ქარიზმატული და ამავე დროს წინააღმდეგობრივი ფსიქოპორტრეტი ასახავს ინდივიდუალური სუბიექტის სიღრმისეულ მრავალშრიანობას, სადაც რწმენის, შიშისა და ძალაუფლების კატეგორიები ურთიერთგადამკვეთ ფორმებს იღებს.

ლენი ბელარდო როგორც ტრადიციული სულიერი ლიდერი, გამოირჩევა ასკეტური სტაბილურობის ნაკლებობით, ინტელექტუალური მობილიზაციის არარეგულარული ფორმებითა და მკაცრი ზნეობრივი სისტემისგან დისტანცირებული პოზიციით. ეს კონფიგურაცია ხაზს უსვამს რწმენას როგორც არა კომფორტის რეჟიმს, არამედ როგორც ეგზისტენციალური დაძაბულობის ველს, რომელიც მოიცავს თავგანწირვას, შინაგან კონფლიქტსა და სულიერ კრიზისს.

ლენის რადიკალური ქმედებები, მათ შორის თეოლოგიური პოზიციების გამწვავება, რწმენის ტრადიციული ფორმების რევიზია და სასწაულის იდეისადმი მუდმივი აპელირება ასახავს რწმენის ტრანსფორმაციულ პოტენციალს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. ამ პროცესში რწმენა წარმოჩნდება როგორც დინამიკური და კონფლიქტური კატეგორია, რომელიც მუდმივ გადახედვას ექვემდებარება.

მეტაფიზიკური მარტოობა სერიალში არა მხოლოდ მხატვრული სიმბოლოა, არამედ რეფლექსიური მდგომარეობაა, რომელიც ნარატიულ და ვიზუალურ სტრუქტურებში სისტემურად ინტეგრირდება. დრამატული თხრობა ამ მდგომარეობას აკავშირებს მაყურებლის ემოციურ გამოცდილებასთან, იდენტობის კრიზისთან და ფსიქოლოგიურ არასტაბილურობასთან. სინათლის ვიზუალური ფუნქცია პერსონაჟის კონსტრუქციაში გამოიყენება სიცოცხლის, სიხარულისა და პოზიტიური ღირებულებების, მათ შორის სიბრძნისა და ჰარმონიის სიმბოლური რეპრეზენტაციისთვის. იგი ასევე აღნიშნავს შინაგანი სიწმინდის, სულიერი გამოფხიზლების ან განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისს. ამგვარად, პერსონაჟის ტრანსფორმაციული გზა, როგორც მრავალსაფეხურიანი პროცესი მოიცავს შინაგანი კონფლიქტის, ტანჯვისა და რწმენის კრიზისის გადალახვას.

სიზმარში გმირის წარმოსახვითი ქადაგება შეიძლება განიმარტოს როგორც ერიხ ფრომის თეორიული პოზიციის ირიბი რეზონანსი, თუმცა ამავე დროს იგი კონსტრუირდება როგორც პარადოქსული ანტითეზა იმ ავტორიტარული დოგმატიზმისა, რომელსაც პერსონაჟი რეალურ სიუჟეტურ სივრცეში ამკვიდრებს. ქადაგება თავდაპირველად ლიბერალური რიტორიკული ტონალობით იწყება, თუმცა მალევე ტრანსფორმირდება იდეოლოგიურად ჩაკეტილ და დისციპლინარულ დისკურსად. ეს გარდაქმნა მიუთითებს თავისუფლებისა და რწმენის თანაარსებობის სირთულეზე იმ სულიერი და ფსიქოლოგიური ტრავმების ფონზე, რომლებიც პერსონაჟის გამოცდილებას განსაზღვრავს. სიზმრის ვიზუალური სტრუქტურა ყალიბდება სიმბოლური ელემენტების საშუალებით: მიტოვებული ბავშვები, უსასრულო თეთრი სივრცე და ნელი მოძრაობით მყოფი მასა. აღნიშნული ნიშნები ხაზს უსვამს მიტოვებულობის, დაკარგული ბავშვობისა და ტრანსცენდენტურ ინსტანციასთან კომუნიკაციის შეუძლებლობის თემებს. ფრომის თეორიული ჩარჩოს მიხედვით, ეს გამოსახულებები ასახავს სუბიექტს, რომელიც თავისუფლებას განიცდის როგორც არსებობის ტვირთს და ამავდროულად ინარჩუნებს თვითიზოლაციის მექანიზმებს. სერიალის საწყის ეპიზოდებში ლენი ბელარდო წარმოჩენილია როგორც შინაგანად წინააღმდეგობრივი სუბიექტი. მისი ყოველდღიური ქცევითი პრაქტიკები ირონიული აღსარება, ნიკოტინისა და გაზიანი სასმელის განმეორებითი მოხმარება და თვითიდენტიფიკაციის პარადოქსული ფორმულირებები დისონანსურ ფსიქოპორტრეტს გვიცოცხლებს. ეს შინაგანი წინააღმდეგობები ატარებს არა მხოლოდ ინდივიდუალურ ხასიათს, არამედ აძლიერებს სერიალის ნარატიულ არქიტექტურასაც - რწმენა აღარ მოიაზრება როგორც სტაბილური კავშირი ტრანსცენდენტურთან, არამედ როგორც დინამიკური დაძაბულობის ველი, რომელიც მერყეობს ღმერთთან კონფლიქტსა და მის დუმილთან თანაარსებობას შორის. ეკლესია წარმოჩინდება როგორც სიმბოლური სივრცე, სადაც დოგმა და ირონია, სიწმინდე და ცინიზმი თანაარსებობს. ნათელია, რომ სორენტინო თავისი ხედვით ენათესავება ფედერიკო ფელინის კინემატოგრაფიას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა პარალელები ფილმთან „8½“, სადაც მთავარი პერსონაჟი, რეჟისორი გვიდო, სულიერი და შემოქმედებითი სიცარიელის გადალახვას ცდილობს. როგორც გვიდოს წარმოსახვითი კონსტრუქციები ცვლიან რეალობის აღქმას, ისე ლენის სულიერი ქაოსი ცვლის ეკლესიის ინსტიტუციურ იმიჯს. ფელინის მსგავსად, რეჟისორი არ გვთავაზობს საბოლოო დასკვნებს, არამედ სვამს კითხვებს: რწმენა როგორც მყარი მონოლითი იშლება და იკვეთება გადაუწყვეტლობის დრამა. სიზმრის, ხილვისა და რეალობის საზღვრები იშლება, ხოლო ტრანსცენდენტურის ძიება ხდება დრამატული და რთული გზა.

სერიალის ქვეტონი იუმორია, რომელიც ვლინდება როგორც პერსონაჟთა ტიპოლოგიაში, ისე თხრობის სტრუქტურაში. მაყურებელი მარტივად ცნობს „ჭკვიან კარდინალს“, „დამაინტრიგებელ კარდინალს“ ან „ძველ კარდინალს“, შაბლონებს, რომლებიც განზრახ გადატვირთულია კლიშეებით, რათა გაძლიერდეს სერიალის ირონიული თვითრეფლექსია. ეკლესია აქ წარმოჩენილია როგორც პოსტმოდერნული წარმოდგენა, სადაც სიწმინდე სცენურ ეფექტად იქცევა, ხოლო ინსტიტუციური წესრიგი თამაშად.

სტრუქტურულად სერიალი ეწინააღმდეგება ამბის თხრობის ტრადიციულ ფორმას. ეპიზოდები თავისუფლად უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან პოსტმოდერნული

სერიალისთვის დამახასიათებელ ფერადოვან ქსოვილს, რომელიც არ ექვემდებარება მკაცრ ქრონოლოგიას ან მიზეზ-შედეგობრივ ლოგიკას. ასეთ დრამატურგიულ სტრუქტურაში პერსონაჟები ფუნქციონირებენ ემოციური და სემიოტიკური ასპექტებით. შესაბამისად, ლენის ტრანსფორმაციაც არ არის კლასიკური კათარზისის შედეგი, არამედ პიროვნული დესტაბილიზაციის პარადოქსული პროცესის გამოძახილია. ფინალურ ეპიზოდში ლენი უკვე აღარ არის მხოლოდ გაღიზიანებული და შურისმაძიებელი ფიგურა. იგი იწყებს საკუთარ შინაგან ტრავმებთან დაპირისპირებას და განსაკუთრებით მშობლების დაკარგვის სიმბოლური დანაკარგის გააზრებას. მის რწმენაში ღმერთი აღარ არის მკაფიოდ ხილული ან უშუალოდ მისაწვდომი იერსახით წარმოდგენილი; ის გარდაიქმნება ნაკლებად ხელშესახებ, შინაგანად განცდილ ფორმად. დედის ფიგურის მარიამად გარდასახვა ქმნის იმ ემოციურ და თეოლოგიურ ლანდშაფტს, სადაც რწმენა ფსიქოლოგიური დანაკარგის რეპლიკად და ტრავმის გადამუშავების გზად გვევლინება. სულიერი მამა, კარდინალი სპენსერი, ლენის შინაგან ბავშვთან დიალოგში აყალიბებს იმგვარ შინაგან თეოფანიას, სადაც ღვთაებრივი სიჩუმე გარდაიქმნება დაკარგულ სურვილებთან ზეპირ, შეუცნობად დიალოგად - პასუხად, რომელიც თავად არ იცის, რომ პასუხია.მარმარილოს მონოქრომული ტონალობები, პალიმფსესტური ფრესკების მრავალშრიანი ტექსტურა, არქიტექტურული სიმეტრიის ხატოვანი სიზუსტე და სურეალისტური განათება ქმნის ვიზუალურ სივრცეს, სადაც რწმენა გასცდება დოგმატურ ჩარჩოებს და ტრავმირებული სუბიექტის ინტიმურ გზად გარდაიქმნება. „პირადი სივრცე“ ლენი ბელარდოსთვის რწმენის ევოლუციის ადგილი ხდება: ის აღარ იძენს რწმენას როგორც მოძღვრებას ან განწესებულ ცოდნას, არამედ როგორც ინდივიდუალურ, ტრავმით ნიშნულ გამოცდილებას, სადაც ღმერთი არ განისახება ბრწყინვალე ფრესკად, არამედ გარდაიქმნება ჩუმ, უარსაყოფ იმპულსად.

სერიალს აქვს თხრობის განსხვავებული სტილი, სადაც თეოლოგია, ფილოსოფია და ვიზუალური მეტაფორა ერთიანდება ეზოთერულ ენაში, რომელიც შექმნილია თანამედროვე ინდივიდისთვის. ეს არ არის რელიგიის უარყოფა, არამედ მისი ტრანსფორმაცია, იმ ინტიმური გამოცდილების ვიზუალიზაცია, რომლის გადმოცემაც შესაძლებელია მხოლოდ პალიმფსესტური ხედვით, უხმო სივრცითა და გაუცხოებული ფერწერის მეშვეობით.

არქიტექტურა გვევლინება როგორც სულიერი ხილვის სივრცე, სიმეტრია კი რწმენის ფენომენოლოგიური აღქმის ფორმა. ამგვარად, სერიალი გვთავაზობს არა მხოლოდ რელიგიური დისკურსის კრიტიკას, არამედ ტრავმის ენისა და რწმენის პერსონალიზებული ინტერპრეტაციის ახალ სახეს. ინტეგრირებული ფერწერული კადრები ქმნის არა მხოლოდ ვიზუალურ ეფექტს, არამედ კონკრეტულ თეოლოგიურ განზომილებას. მაგალითად, ჯულიო რომანოს ტილო „მარიამი ბავშვთან, პეტრე, პავლე და 12 ოსტატი“, რომელიც პაპის ბიბლიოთეკაშია განთავსებული, იქცევა რწმენის, სინანულისა და პატიების ტრაექტორიის ვიზუალურ მეტაფორად. ეს სურათი განსაზღვრავს პერსონაჟის შინაგან კონფლიქტს არა როგორც თეორიულ საკითხს, არამედ როგორც სულიერ დრამატურგიას.

არანაკლებ სიმბოლური დატვირთვა აქვს პიეტრო პერუჯინოს ფრესკას „წმ. მოციქულ პეტრესთვის გასაღებების გადაცემა“, რომელიც სერიალში ფიგურირებს როგორც ისტორიული ლეგიტიმაციის ჟესტი და ამავდროულად პიუს XIII-ის მორალური

პასუხისმგებლობის ხილული ფორმა. სახვითი ხელოვნების ეს ინტეგრაცია ქმნის იკონოგრაფიულ კონტინუუმს, სადაც ტრადიცია ჰერმენევტიკულ დიალოგში შედის პერსონაჟის პირად სულიერ გზასთან. ვატიკანის ინტერიერი სერიალში არის ძალაუფლების ვიზუალური რეპრეზენტაცია, რომელიც აძლიერებს რელიგიური ავტორიტეტის ინსტიტუციურ ხასიათს. სივრცე არ არის მხოლოდ დეკორატიული ფონური ელემენტი, არამედ დრამატული სუბსტანცია, სადაც განათების ცვალებადობა, კადრის სიმეტრია და ფერწერული ლოგიკა ქმნის სულიერ არქიტექტონიკას. ეს ვიზუალური სტრუქტურა მაყურებელს უბიძგებს, რწმენის ტრავმული განზომილება აღიქვას არა მხოლოდ საეკლესიო წესრიგის ნაწილად, არამედ ინდივიდუალურ ეგზისტენციალურ გამოცდილებად.

თანამედროვე კულტურაში სატელევიზიო სერიალი აღარ ფუნქციონირებს როგორც მხოლოდ მხატვრული პროდუქტი; იგი წარმოადგენს სოციალურ და კულტურულ დისკურსს, რომელიც ასახავს და ამავდროულად აყალიბებს საზოგადოებრივ ღირებულებებსა და ინდივიდუალურ რწმენით გამოცდილებებს. ამ კონტექსტში რწმენა გარდაიქმნება სუბიექტურ, გამოცდილებაზე დაფუძნებულ მოლოდინის სტრუქტურად, რაც ნაწილობრივ ეხმიანება ქრისტიანული მისტიკის ტრადიციებს, მათ შორის იაკობ ბომეს ინტერპრეტაციებს. სერიალის ვიზუალურ ენაში სიჩუმე, სინათლე და კომპოზიციური სიმეტრია რელიგიური გამოცდილების რეპრეზენტაციულ მოდელად იქცევა, რომლის ტრანსცენდენტური მნიშვნელობა ვლინდება არა დოგმატურ, არამედ ინტერპრეტაციულ და ინტუიციურ დონეზე. სერიალში ღმერთი მოიაზრება როგორც ბავშვური ილუზიის მიღმა არსებული სიჩუმე, რომელიც მიტოვებულობის ღრმა ემოციურ გამოცდილებას უკავშირდება. ამავე კონტექსტში აქტუალური ხდება მერაბ მამარდაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „სულმა მარტო უნდა გაიაროს თავისი გზა, რათა განიკურნოს ყოფიერებისგან“.

ლენი ბელარდოს ინტიმური ბრძოლა რწმენასთან ტრავმის ხილულ დეკორაციად გვევლინება. ის უკვე არა უბრალოდ პაპია, არამედ წმინდა მრავალვნებული იობის მსგავსად ღმერთთან პირისპირ მდგომი სუბიექტი. ლენი ქმნის ახალ რელიგიურ ენას, რომელიც ვიზუალურად გამოიხატება ღვთაებრივი ელემენტების დეჰიერარქიზაციით: სინათლე მოდის უკანა სივრციდან და არა ტახტიდან; ხმა არ არის ექოს მსგავსი, არამედ თითქმის ჩუმია; ფრესკები კი ფერწერული დიალოგის ნაცვლად მტვრიან და მკრთალ ზედაპირად იქცევა. ეს ენობრივი ტრანსფორმაცია გვთავაზობს ტრანსცენდენტურის რადიკალურად ახალ მოდელს, რომელიც აღარ ექვემდებარება ბაროკოსეულ ძლიერ ნიშნებს, არამედ მინიმალისტური სიმბოლიკითა და თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით გვთავაზობს ღვთაებრივის გამოცდილებას. აქ ღმერთი აღარ ჩნდება როგორც ყველგანმყოფი ძალა, არამედ როგორც დუმილი, რომელიც შეიძლება გაიგონო მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი სრულიად მარტო რჩება და ძალაუფლების ყოველი ნიშანი ჩამოიშლება. ამ პროცესში ვიზუალური მეტაფორები მნიშვნელოვან ნარატიულ და სიმბოლურ ფუნქციას იძენს. ლიტურგია წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც ტრადიციული რელიგიური პრაქტიკა, არამედ როგორც შინაგანი სულიერი ბრძოლის ვიზუალური რეპრეზენტაცია. სერიალი ქმნის სივრცეს, სადაც რწმენა ინსტიტუციური ავტორიტეტის ფარგლებს სცდება და ინდივიდუალური გამოცდილების ფორმას იღებს. ღვთაებრივი წარმოდგენილია არა როგორც ძალაუფლების პირდაპირი გამოვლინება,

არამედ როგორც დიალოგის, მოლოდინისა და თანაარსებობის შესაძლებლობა. ამგვარად, ვიზუალური თხრობა იქცევა იმ მედიატორად, რომლის მეშვეობითაც ვლინდება ტრავმის, დუმილისა და რწმენის ურთიერთკავშირი, ხოლო რწმენა განიმარტება არა როგორც უცვლელი დოგმა, არამედ როგორც პირადი და მუდმივად გარდაქმნადი გამოცდილება.

ბელარდო, როგორც პოსტმოდერნული და ეგზისტენციალისტური სუბიექტის ნიშნებით დატვირთული ფიგურა, რომლის იდენტობა არ არის სტაბილური, ის როგორც მარადიული თინეიჯერული სუბიექტი მუდმივად იმყოფება არჩევანის, პასუხისმგებლობისა და დროის შეზღუდულობის წნეხის ქვეშ. ერთ ეპიზოდში, ბავშვობის მეგობრის კითხვაზე – „როდის გაიზრდები?“ იგი მშვიდად პასუხობს: „არასოდეს“. ეს კი მიანიშნებს დროის ხაზობრივი გამოცდილების უარყოფასა და სუბიექტის ფიქსაციის შეუძლებლობაზე, რაც პოსტმოდერნულ თეორიაში იდენტობის დეცენტრალიზაციის ერთ-ერთ ფორმად განიმარტება. ამავე დროს, ეგზისტენციალისტური პერსპექტივით, გმირის არსებობა განისაზღვრება არა ბედნიერებისკენ მიმართული ტელეოლოგიით, არამედ ხსნისა და მნიშვნელობის მუდმივი ძიებით. ამიტომაც მუდმივად სვამს ფუნდამენტურ ონტოლოგიურ კითხვას – „არსებობს თუ არა ღმერთი?“ ახალგაზრდა პაპი ამ კითხვას ეჭიდება და პასუხებს ეძებს.

ჭეშმარიტი ღვთის ძიება არ არის მხოლოდ თეოლოგიური საკითხი, ის უფრო ფართო ონტოლოგიურ კითხვად იქცევა: „ვინ ვარ სამყაროში, სადაც პასუხი არ არის გარანტირებული?“ ლენი ბელარდოს შემთხვევაში ღმერთი არ ფუნქციონირებს როგორც დოგმატური მოცემულობა, არამედ როგორც მუდმივად მიუწვდომელი ინსტანცია, რომლის სიჩუმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი არსებობის დადასტურება. შესაბამისად, რწმენა აქ არის არა სტაბილური კავშირი, არამედ დაძაბულობის ფორმა, რომელიც იკვებება გაურკვევლობით. მშობლების ძიება კი უფრო კონკრეტულ, ფსიქო-ემოციურ პლანზე გადმოდის. ის არ არის უბრალოდ ბიოგრაფიული მოტივი. ეს არის დაკარგული საწყისის, დაუბრუნებელი პირადი უსაფრთხოების და პირველადი მიჯაჭვულობის აღდგენის მცდელობა. ამ ხაზში მშობლები ფუნქციონირებენ როგორც სიმბოლური „საწყისი წერტილი“, რომლის დაკარგვაც იწვევს იდენტობის ფრაგმენტაციას. ამ ორი დრამატული ხაზის გადაკვეთა მნიშვნელოვანი თეორიული ეფექტია: ღმერთი და მშობლები ერთდროულად წარმოაჩენენ „აბსოლუტის“ სხვადასხვა ფორმას. ერთი ტრანსცენდენტურია, მეორე კი - იმანენტური. თუმცა ორივე შემთხვევაში შედეგი ერთია: მიუწვდომლობა. სწორედ ამ მიუწვდომლობაში ყალიბდება ლენის სუბიექტუროობა როგორც მუდმივი ძიების, მაგრამ არასდროს დასრულებული მიღწევის ფორმა. ამიტომ ეს ორი ამბავი არ უნდა წავიკითხოთ ცალ-ცალკე; ისინი ერთიანდება ერთ სტრუქტურულ მოდელში, სადაც დაკარგვა ხდება არა მოვლენა, არამედ არსებობის ძირითადი რეჟიმი.

დაბოლოს, პერსონაჟის ტრანსფორმაცია, როგორც ტრადიციისა და ცვლილების დაძაბულ ურთიერთობაში მყოფი სუბიექტის ფიგურა, სერიალის მთავარ დრამატურგიულ ღერძს წარმოადგენს. თეთრი და წითელი სამოსი, ხის ჯვარი და თეთრი ფეხსაცმელი ერთგვარი ვიზუალურ კოდია, რომელიც ხაზს უსვამს სიმარტივისა და ინსტიტუციური პომპეზურობისგან დისტანცირების იდეას.

ერთ-ერთ ყველაზე ემოციურ ეპიზოდში ლენი ამბობს: „მე მიყვარს ღმერთი, რადგან ადამიანების სიყვარული ძალიან მტკივნეულია. ერთ დღეს მოვკვდები და საბოლოოდ შევძლებ ყველას ჩაგეხუტოთ.“ აღნიშნული მონოლოგი გამოხატავს პაპის შინაგან

ტრაგიზმს, ხოლო მისი ცრემლი განიმარტება არა მხოლოდ როგორც ემოციური რეაქცია, არამედ როგორც წარსულის ტრავმასთან შერიგებისა და მომავლის იმედის სიმბოლო.

დასკვნა. სერიალი „ახალგაზრდა პაპი“ წარმოადგენს თანამედროვე ვიზუალური კულტურის ფარგლებში რელიგიური ავტორიტეტის პოსტმოდერნულ დეკონსტრუქციას, სადაც პიუს XIII-ის ფიგურა ფუნქციონირებს როგორც ჰიბრიდული სუბიექტის ალეგორია, რომელიც აერთიანებს ინსტიტუციურ ძალაუფლებასა და ეგზისტენციალურ მოწყვლადობას. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სერიალი სისტემურად არღვევს წმინდა/სეკულარული დიქოტომიის სტაბილურ მოდელს და რელიგიური მნიშვნელობის გენერირებას წარმოაჩენს როგორც ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ გამოცდილებათა ინტერსუბიექტურ პროცესს.

ამ კონტექსტში რწმენა აღარ განიხილება როგორც დოგმატური სისტემა, არამედ როგორც არასტაბილური, გამოცდილებაზე დაფუძნებული და სიმბოლურად შუამავლობითი ფენომენი. შესაბამისად, ღმერთის რეპრეზენტაცია სერიალში არ არის ონტოლოგიურად ფიქსირებული კატეგორია, არამედ ვლინდება როგორც სიჩუმის, გაუცხოების და ემოციური ინტენსივობის დისკურსული კონსტრუქცია, რაც ასახავს პოსტმოდერნული სუბიექტის იდენტობის ფრაგმენტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა
REFERENCES:

Acton, J. E. E. D. (1906). Lectures on modern history. Macmillan.

Baramidze, N. (2018). Religia da dzalaufleba tanamedrove sazogadoebashi (რელიგია და ძალაუფლება თანამედროვე საზოგადოებაში). Tbilisi: TSU, Faculty of Social and Political Sciences.

Barthes, R. (1972). Mythologies. Hill and Wang.

Baudrillard, J. (1994). Simulacra and simulation. University of Michigan Press.

Foucault, M. (1977). Discipline and punish: The birth of the prison. Pantheon Books.

Foucault, M. (1980). Power/knowledge: Selected interviews and other writings, 1972–1977. Pantheon Books.

Gelovani, N. (2019). Satelevizio serialis specifika (სატელევიზიო სერიალის სპეციფიკა). Tbilisi: TSU.

Gvakharia, G. (2009). Kino da dzalaufleba (კინო და ძალაუფლება). Tbilisi: Kolona.

Kant, I. (2006). Anthropology from a pragmatic point of view. Translated by R. B. Louden. Cambridge: Cambridge University Press.

Kierkegaard, S. (1941). Concluding unscientific postscript to philosophical fragments. Princeton University Press. (Original work published 1846)

Lotman, Y. (1976). The semiotics of cinema. University of Michigan Press.

Lyotard, J.-F. (1984). The postmodern condition: A report on knowledge. University of Minnesota Press.

Mamardashvili, M. (1990). Lectures on religion (Lecture V). Tbilisi.

Maisuradze, G. (2012). Postmodernizmis kultura da kartuli identoba (პოსტმოდერნიზმის კულტურა და ქართული იდენტობა). Tbilisi: Intelecti.

Melikishvili, G. (2010). Katolike eklesiis istoria (კათოლიკე ეკლესიის ისტორია). Tbilisi: Ganatleba.

Metz, C. (1974). Film language: A semiotics of the cinema. University of Chicago Press.

Roszak, T. (1969). The making of a counter culture. Anchor Books.

Sorrentino, P. (Director). (2016). The young pope (TV series). HBO / Sky Atlantic.

Vogl, J. (2007). The spectacle of power: Political iconography in the media age. Stanford University Press.